პროლეტარებო, უფალა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1944 წ. № 115 (7059). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობის შესახებ. „პრავდის“ 7 ივნისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგ სტალინის პასუხი საქართველოს კოლმეურნეებს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 7 ივნისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

მარშლის განმასხვავებელი ნიშნის „მარშლის ვარსკვლავის“ გადაცემა ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ პ. ა. როტმისტროვისათვის (1-ლი გვერდი).

მ. საკაროული. საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი დავითის-ძე შენგელია (მე-2 გვერდი).

ხუტა ბერულავა. ჯიხაშკარი (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. მოკავშირეთა სექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა. ოპერაციები ჩრდილოეთ საფრანგეთში. შეიარაღებული შეტაკება ლიტველთა სამხედრო ნაწილებსა და გერმანელთა „სს“ ჯარებს შორის. რუზველტის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე. ბადოლიოს ახალი მთავრობის შედგენა. საომარი მოქმედება იტალიაში. (1-ლი და მე-2 გვერდი).

სრულიად-საკავშირო საბჭადრაკო ჩემპიონატი. მეთერთმეტე ტური (მე-2 გვერდი).

ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობის შესახებ

ქალაქის კეთილმოწყობა რიგიანი გაზეთში ნახევრადმეიწყებული თემის მდგომარეობაშია. ეს თემა ფშვიანად ჩნდება გაზეთში. მაგრამ გაზეთის შემთხვევითი გამოსვლებიც კი ამ თემაზე ყოველთვის წარმატებითი როდია. ეს გამოსვლები იმას მოწმობენ, რომ საოლქო ბეჭდვითი ორგანოს რედაქცია ჯერ-ერთი ნაკლებ ინტერესს იჩენს ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებისადმი და, მეორეც, რედაქციას, როგორც სჩანს, სავსებით ჭერ წარმოუდგენია, თუ რა ძალებითა და საშუალებებით უნდა გადაიჭრას ეს საკითხები.

31 მაისის გაზეთში მოწინავე სტატიას დასაღებული სათაური აქვს: „მოვახდინოთ ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობა“. ვრცელდ არის ლაპარაკი ლენინგრადზე, სტალინგრადზე, როსტოვზე, კიევზე, გორკზე, კურგანზე. ბოლოს, ჯერი მიდგება ქალაქ რიაზანზე. რიაზანის გაზეთში ქალაქ რიაზანზე ცოტაა ნათქვამი, მაგრამ არც თუ უპათოსოდ. ამ ლაპარაკის საბაბი გახდა საკავშირო ალაკ ქალაქკომის პლენუმი. პლენუმზე ლაპარაკი იყო ქალაქის მეურნეობის შესახებ. „კომკავშირელების და ახალგაზრდობამ,—იუწყება გაზეთი,—აღადგინეს ქალაქი სუფთა და კულტურულ მდგომარეობაში მოიყვანონ, რათა ყოველ მეტხოვრებს შეეფოს სიამაყით სთქვას:—მე რიაზანელი ვარო“.

სტატიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რიაზანის მეტხოვრებს უკვე აქვს ყოველგვარი საფუძველი იამაყოს მშობლიურ ქალაქში არსებული სისუფთავითა და წესრიგით. ნამდვილად კი ეს სრულიადაც ასე არ არის. მოწოდებულ სტატიაში კი, კომკავშირელთა მისამართით ქების გარდა, კონკრეტული არაფერი არ არის. სტატია არავის არ აკრიტიკებს. იგი რავის არ მიმართავს, გარდა ახალგაზრდობისა. გაზეთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქის კეთილმოწყობა მხოლოდ ახალგაზრდობის ხვედრს წარმოადგენს.

რიაზანის გაზეთში მოთავსებულ სტატიაზე წერილებით იმიტომ შევჩერდით, რომ იგი ნახავს სამწუხაროდ საკმაოდ გავრცელებულ მეხედულებას ქალაქის კეთილმოწყობაზე, როგორც მეორეხარისხოვან პრობლემაზე, როგორც ისეთ საქმეზე, რომლის სეროიზულად თემების დრო ამჟამად არ არის. ომიანობის დროს, მსჯელობენ ქალაქის ცალკეული მმართველები, აუცილებელია ყურადღების შესუსტება ქალაქის მეურნეობისადმი, მოქალაქეთა ფიზიკურ მეტხოვრებისადმი, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხებისადმი, სამეცნიერო მშენებლობისადმი, სახლების რემონტისადმი და სხვ. ხოლო რაკი ეს აუცილებელია, ადგილი შევურიგდეთ ნახვრეტს სახურავში. ჩაფლეულ ფანჯარას, ამოგდებულ ქვაფენილს, ფასადების, აბანოს, სამრეცხაოს, საპარიკმახეროს, საავადმყოფოს, ტრამვაის ცუდ მუშაობას. და კიდევაც ურიგდებიან, კიდევაც ერდს უვლიან ქალაქის მეურნეობასა და ყოფაცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც თვალში გეცემა, ომიანობის დროის პირობებისა და სიძნელეების მიმიზეზებით ამართლებენ ისეთ ადგილებსაც კი, რომელთა აღმოფხვრაც განსაკუთრებულ საშუალებებსა და ძალებს არ მოითხოვს.

უაღრესად მკაცრად უნდა დავგმოთ ასეთი ფილოსოფიზმი, როგორც თვალსაზრისი ეროვნული, რომელიც ომიანობის დროს სიძნელეებზე ლაყბობით ჰფარავს იმის ინიციატივისა და ენერგიის უქონლობას, რომ გადალახოს ომიანობის პერიოდის აუცილებელი სიძნელეები. ეს პირობებშიც კი საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის მეურნეობისათვის, რომელთა ცხოვრების კომუნალური, საყოფაცხოვრებო, კულტურული ჰიგიენის გაუმჯობესებისათვის. ეს სახსრები რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული, ყოველი მანეთი საზოგადოებრივი სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარდეს. ალბათ ყოველ საქალაქო საბჭოს როდი შეუძლია მიაცხადოს, რომ მან არა მარტო რაციონალურად დახარჯა სახელმწიფოს მიერ გაღებული ფული, არამედ საერთოდაც საქმეში ჩადო ეს. ფული ზოგჯერ უმოძრაოდ დგა, ზოგჯერ სხვა მიზნებისათვის იხარჯებოდა, ქალაქის მეურნეობა კი ზარალდება, ზარალდება ქალაქის მოსახლეობაც.

ბოგალითად, რატომ არის, რომ კოსტრომაში ფულებრივ ცოცხს ომის დღეებში ისე უყურებენ, როგორც ფუფუნების საგანს? ცოცხიანი მეეზოვე ისეთი ფიგურაა, რომლის დანახვაც მხოლოდ ქალაქის ცენტრში შეიძლება, ცენტრიდან ათ ნაბიჯზე კი ქუჩები არ იგვება, რატომ არის, რომ ისევე კოსტრომაში დამტვრეული ლობე, ჩამოგდებული ჭიშკარი, მთლად ღია ეზოები ქუჩის პეიზაჟის განუყოფელი დეტალი გახდა? რატომ არის, რომ ლამაზი ვოლგა ქალაქის საბჭოს მუშაკთა ნებასურვილით კოსტრომელებისათვის ნაკლებად მიმზიდველი ადგილი გახდა — მდინარეზე გადასვლა დაკავშირებულია დროისა და ნერვების უდიდეს დახარჯვასთან? ნუთუ ასეთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს გადასვლის საქმის მოწყობა?!

ვოლგის სხვა ქალაქშიც, ასტრახანში, უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი „გადაუჭრელი პრობლემა“ დაგროვდა. კეთილმოწყობა აქ თითქმის განყენებული ცნება გახდა, ადგილობრივი ორგანიზაციები ასე თუ ისე მზრუნველობას იჩენენ ორი ცენტრალური ქუჩისათვის — საბჭოს და კიროვის სახელობის ქუჩებისათვის, დანარჩენი ქუჩები ქალაქის საბჭოს არ აინტერესებს. ეს ქუჩები ტალახიანია, მტვრიანია, ისინი მოუყიმწყლავია, იქ მწვანე ნარგავები არ არის. ქალაქის შემარცხვენელ გარემოებას წარმოადგენს სასტუმრო. თითქოს ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ სტუმარმა რაც შეიძლება მალე სთქვას უარი ასტრახანულ სტუმართმოყვარეობაზე. ჭუჭყმა, ეწესრიგობამ, უკულტურობამ სასტუმროში მყარი ფორმები მიიღო.

არა, ომიანობის დრო როდია დამნაშავე რიაზანის, კოსტრომის, ასტრახანის თავმინებებულ მდგომარეობაში! იქ. სადაც ქალაქის მეურნეობა ისეთი მუშაკების გამგებლობაშია, რომელთაც ყველართ და იციან საქმე, იქ, სადაც არ ივიწყებენ ქალაქის კეთილმოწყობას, იქ. სადაც ამ კეთილმოწყობის საკითხებზე მაპყრობილია საზოგადოებრიობის ყურადღება, მოსახლეობის ყურადღება, — ომის დღეებშიც ვხედავთ ისეთ სურათებს, როგორსაც გვიხატავს ჩელიაბინსკის საოლქო გაზეთი სტატიაში „ზლატოუსტის დღე“.

„...ორასი მიწის მთხრელი, მებეტონე, კალატოზი, მებათქაშე, ხურო გამოვიდა ნოვოზლატოუსტის რაიონის კლუბის მშენებლობაზე. უკვე მზად არის საძირკველი, დაიწყო პირველი სართულის აგება. ეს იქნება ყველაზე უფრო მაღალი და ლამაზი შენობა რაიონში. მაყურებელთა დარბაზი ათასამდე კაცს დაიტევს. აქ იქნება სასპორტო დარბაზი, საბილიარდო, ოთახები მხატვრული თვითმოქმედებისათვის. მშენებლობის საერთო ღირებულება განსაზღვრულია 5 მილიონი მანეთის რაოდენობით“.

ზლატოუსტის მცხოვრებნი მონაწილეობას იღებენ მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობაში:

„...ასობით დიასახლისი, მოსწავლე, პენსიონერი გამოვიდა სტალინის რაიონის ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად. ისინი არემონტებენ გზებს, ბოგირებს, ამყარებენ სასუფთავეს. უკვე დარგულია ორი ათასზე მეტი ხე“.

ასეთ სურათებს უნდა ვხედავდეთ და შეიძლება ვხედავდეთ ყოველ ქალაქში.

ჩვენი ქვეყანა საკმაოდ ძლიერი და მდიდარია იმისათვის, რომ ომიანობის დროსაც აშენოს. და იგი აშენებს კიდევაც. აშენებს არა მარტო ბრძოლებსა და მარტენებს, არა მარტო სამხედრო ობიექტებს, იგი აშენებს ქალაქებს. იგი აღადგენს გერმანელ ავაზაკთაგან დანგრეულ ქალაქებს. ისევსრ არქიტექტორთა ახლახან დამთავრებული თათბირი მოსკოვში მიძღვნილი იყო ამ მშენებლობის საკითხებისადმი. საქმე ეხება დიდ გეგმებსა და მასშტაბებს, ნაციონალური ხუროთმოძღვრების განვითარების ახალ საფეხურს. ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს საკმაოდ გააჩნია ძალები და სახსრები უაღრესად გრანდიოზული სამშენებლო ამოცანების გადასაწყვეტად.

ბუნებრივია, რომ ჩვენში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისეთ ნაკლოვანებებს ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის მომსახურებაში, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. უნდა შეექმნათ ვითარება ბოლშევიკური შეუწყნარებლობისა ამ ნაკლოვანებათა და მათს კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ. ქალაქის კეთილმოწყობა მთელი მოსახლეობის სასლხორცეულ საქმედ უნდა გადავაქციოთ.

„პრავდის“ 7 ივნისის მოწინავე.

ბერიას განმასხვავებელი ნიშნის „მარშლის ვარსკვლავის“ გადაცემა ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ პ. ა. როტმისტროვისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა 6 ივნისს კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“ გადასცა ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ პავლე ალექსის-ძე როტმისტროვს.

• • •

იმავე დღეს ამხ. ნ. მ. შვერნიკმა წითელი დროშის ორდენი გადასცა გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ პავლე ვასილის-ძე მირონოვს, რომელიც ჯილდოებულია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის. (საკდესი).

კაპიტან გ. ს. მახარაძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი გიორგი სიმონის-ძე მახარაძე დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით. კაპიტანმა მახარაძემ თავი გამოიჩინა სევასტოპოლისათვის ბრძოლებში, კერძოდ, როდესაც ჩვენი ჯარები ფეხდაფეხ მისდევდნენ უკუქცეულ მტერს სევერნაია ბუხტის გადასვლის დროს.

ზ. თ. ჩოკოშვილისა და ნ. ე. ხაკაღიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„კომუნისტის“ მკითხველებმა იციან მესანგრე სერჟანტ ოთარ ფირცხალაიშვილის სახელი. ვგმირობის ამბავი; იგი ამას წინათ ბოლო ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის. ამის წინათ სარდლობამ დაჯილდოვა აგრეთვე მისი თანამებრძოლი მეგობრები. დაჯილდოებულთა შორის არიან ლეიტენანტი ზაქარია თევდორეს-ძე ჩოკოშვილი, უფროსი სერჟანტი ნიკოლოზ ევგენის-ძე ხაკალიძე. ორივე დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 ივნისის ოპერატიული ცნობა

7 ივნისის განმავლობაში ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების მცირე ძალების იერიშები. დაზუსტებული ცნობებით, 30 მაისიდან 6 ივნისამდე მომხდარი ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ: დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 315 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, მოსპობილია 29 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, სხვადასხვა ყალიბის 62 საველე ქვემეხი, 240 ტყვიამფრქვევი და 400-მდე ავტომანქანა. ხაჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 451 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

6 ივნისს განმავლობაში ყველა ფრონტზე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 54 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა ქალაქ იასის რკინიგზის კვანძი და სამხედრო ობიექტები

6 ივნისს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაციამ კვლავ მოახდინა მასირებული თავდასხმა ქალაქ იასის (რუმინეთი) რკინიგზის კვანძსა და სამხედრო ობიექტებზე. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დამტვრეულია მოწინააღმდეგის რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი. დაბომბვის შედეგად ხანძრები გაჩნდა. იწვოდა ვაგონები, პლატფორმები, ცისტერნები და სამხედრო საწყობები. ხანძრებს თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

ჩვენი ორი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე არ დაბრუნებულა.

* * *

ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის აქტივობამ მნიშვნელოვნად იკლო. მხოლოდ ცალკეულ უბნებზე ტანკებით გაძლიერებულმა გერმანელთა ქვეითმა ჯარმა რამდენიმე იერიში მოიტანა. 5 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებისას გაფლიტეს 200-ზე მეტი გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს 5 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და 3 ჯავშანტრანსპორტიორი. დღეს დილით ერთმა ჩვენმა ნაწილმა კონტრდარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგს, წინ წაიწია და ორი მაღლობი დაიკავა. ამ რაიონში ტყვედ დაგვნებდა რუმინელ ჯარისკაცთა ასეული.

• • •

ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მეთვალყურეებმა შეამჩნიეს მოწინააღმდეგის ორი შენიღბული ტანკი. სერჟანტ ნიკოლსკის ქვემეხის ცეხნდი ღია პოზიციებზე გავიდა და მარჯვე სროლით ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა ტანკებს.

• • •

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით ჰიტლერელთა სამმა ჯგუფმა იერიში მოიტანა ჩვენს საბრძოლო დაცვაზე. ჯაფორეული შეტაკების შედეგად მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 60 გვამი.

6 ნაწილის სნაიპერებმა ზემდეგმა ალექსი რუსაკოვმა და სერჟანტმა ჯუმან ესირკეევმა დღის განმავლობაში 8 გერმანელი დახოცეს. სნაიპერმა წითელარმიელმა შუმბასოვმა ექვს დღეში მოწინააღმდეგის 13 ჯარისკაცი მოსპო.

• • •

5 ივნისს ღამით ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ტორპედიანი კატერების ორი ჯგუფი მოწინააღმდეგის ხომალდების სანაპირად გავიდა. კატერების ჯგუფმა მე-3 რანგის კაპიტან ამხ. სტარის მეთაურობით აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ხომალდების მეორე ჯგუფი და იერიში მიიტანა მათზე ზღვრულად მოკლე დისტანციიდან. ტორპედიანი კატერების ორივე ჯგუფის მოქმედების შედეგად ჩაძირულია გერმანელთა ხუთი ტრალერი.

• • •

სტანისლავის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფს, რომელიც დასასვენებლად დაბანაკებული იყო ერთ სოფელში. საბჭოთა პატრიოტებმა დახოცეს 22 გერმანელი და ტყვედ წამოიყვანეს 10 კაცი. სხვა პარტიზანული რაზმი ოთხი დღის განმავლობაში ბრძოლებს ეწეოდა გერმანელ-უნგრელთა სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ. ჰიტლერელები გარს შემოერტყნენ რაზმს და ცდილობდნენ მოესპოთ იგი. პარტიზანებმა რკალი გაარღვიეს და ბრძოლიდან გამოვიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა რკინიგზის ხიდი, როდესაც მასზე გერმანელთა სამხედრო ეშელონი გადიოდა. ორთქლმავალი და 7 პლატფორმა ქვემეხებიანად მდინარეში გადავარდა.

• • •

სამხრეთში საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა გერმანელთა ბომბდამშენი „იუნკერს-88“ აიძულა დაშვებულიყო ჩვენს ტერიტორიაზე. ტყვედ წამოყვანილმა შორი მზვერავების მე-100 ჯგუფის 1-ლი რაზმის მსროლელმა მაქს დორბაშმა გვიამბო: „შვიდი ათას მეტრ სიმაღლეზე ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მთელი სიჩქარით გვიახლოვდებოდა რუსების ავიაგამანადგურებელი. ჩვენ ბრძოლას თავი ავარიდეთ. მაგრამ ავიაგამანადგურებელი სწრაფად დაგვეწია და გვაიძულა ძირს დავშვებულიყავით. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენმა რაზმმა სამი თვითმფრინავი დაჰკარგა. ორი მათგანი რუსების ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს, ერთი კი — საზენიტო არტილერიამ. უკანასკნელ ხანს გერმანელი მფრინავები ძალიან უხალისოდ აფიან ჰაერში. საქმე ის არის, რომ ჩვენ გვეშინია ავიაგამანადგურებლებისა და რუსთა საზენიტო ქვემეხების ცეცხლისა“.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა რუმინელთა მე-14 ქვეითი დივიზიის 39-ე პოლკის მე-5 ასეულის მე-2 ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა კონსტანტინე ლეჩინტემ განაცხადა: „აპრილის პირველ ნახევარში ჩვენი პრლკი გადგურებულ იქნა. ბევრი ჯარისკაცი, რომელთაც არ სურდათ გერმანელებისათვის ებრძოლნათ, აქეთ-იქით გაიქცა. მხოლოდ მე-3 ბატალიონის ნაშთებმა მოახერხეს, ეშელონი დნესტრზე გადასვლა. პოლკის მეთაური პოლკოვნიკი მარინესკუ თანამებრძოლთან მოხსნეს და სამართალში მისცეს. ჩვენი დივიზია შეავსეს და კვლავ წინა კიდეზე გგზავნეს. ამ დღეებში მე-5 ასეულმა ბრძანება მიიღო დაეკავებინა გზატკეცილის უბანი. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ უზარალოდ ჩავიგდებდით ხელში რუსების პოზიციებს, ვინაიდან ამ პოზიციებს მხოლოდ 60 ჯარისკაცი იცავსო. იერიშის დროს ყველაფერი აირია. ჩვენ რუსების ოფიცრებ და ტყვიამფრქვევის ჯვარედინ ცეცხლში მოვხვდით. იერიში ბევრ მსხვერპლად დაგვიჯდა, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოუტანია. მე ჩვენებს ჩამოვრჩი და ტყვედ წამომიყვანეს“.

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 6 ივნისი (საკდესი). რუზველტი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა და განაცხადა, რომ შეეძია დასახული გეგმის შესაბამისად ვითარდება.

პრეზიდენტმა უპასუხა კითხვებზე და განაცხადა, რომ თეირანის კონფერენციაზე გადაწყვეტილი იყო შეჭრის თარიღი, რომელმაც სტალინი სავსებით დააკმაყოფილა. რუზველტმა იცოდა, რომ შეჭრა დაახლოებით უნდა მომხდარიყო მაისის ბოლოს ან ივნისის პირველ რიცხვებში. თარიღი ზუსტად დადგენილ იქნა მხოლოდ უკანასკნელ რამდენიმე დღეში, ვინაიდან ეს დამოკიდებული იყო ამინდზე ლა-მანშში.

საჭირო იყო შეტევის დაწყება იმ პერიოდში, როდესაც პატარა გემებს შეუძლიათ ლა-მანშის გადაკვეთა, ხოლო ამინდის ასეთი პირობები მაისის გასულზე ადრე არ იქმნება.

შემდეგ რუზველტმა აღნიშნა, რომ უმაღლესი სამხედრო სტრატეგიის საკითხები და მეორე ფრონტის საკითხი განხილული იყო უკვე 1941 წლის დეკემბრის ბოლოს და ამის შემდეგ ყოველ კონფერენციაზე განიხილებოდა.

რუზველტმა უარყოფით უპასუხა კითხვაზე — არჩეული იყო თუ არა შეჭრის ადგილი თეირანის კონფერენციაზეო. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ შეჭრის ზუსტი თარიღი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს, ვინაიდან ეს სტრატეგიის საკითხს წარმოადგენს, შეჭრის დღისა და საათის განსაზღვრა მინდობილი ჰქონდა უმაღლეს სარდლობას, და ეს საკითხი ეიზენჰაუერმა გადასწყვიტა.

როდესაც ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკითხა რუზველტს იმ ხმების შესახებ, რომ წითელი არმია უახლოეს 48 საათში მძლავრად დაარტყამს მოწინააღმდეგესო, რუზველტმა განაცხადა, ასეთი კითხვები უადგილოაო. კითხვაზე იმ ხმების ჯამო, რომ ფრანგთა არალეგალური წრეები შეჭრილ ჯარებთან თანამშრომლობენო, რუზველტმა აღნიშნა, ასეთი თანამშრომლობა ჯერ არ არისო.

რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა, ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულაო. მან სთქვა, რომ არ შეიძლება უბრალოდ გადასხდე სანაპიროზე და სრულიად დაუბრკოლებლად განაგრძო გზა ბერლინისაკენ. ქვეყანამ უნდა შეიგნოს ეს.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ჯარები, რომლებმაც ტიბრი გადალახეს და წინ მიიწევენ, მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას ხვდებიან. ამჟამად ისინი მარაოსებრ არიან გაშლილნი დაახლოებით 16 კილომეტრზე რომიდან. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა დაბომბეს ნავთსაწყობები ჩარხნები ბელეტის რაიონში, დამზარისებელი სადგურები ბრაშოვსა და პიტეშტში (რუმინეთი) და ბელგრადში (იუგოსლავია). სხვა შენაერთებმა თავს დაესხნენ საბრძოლო ობიექტებს მოწინააღმდეგის ჯარების ზურგში რომის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, აგრეთვე ცენტრალური იტალიის დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ და იუგოსლავიაში.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგანგებო გადმოგვცემს, მრავალ ადგილს გერმანელთა უკან დახევა უწესრიგო გაქცევად გადაიქცა. ორი ათასი გერმანელი ტყვედ დანებდა ინგლისის ჯარების კოლონას, რომელიც სწრაფად მიიწევს წინ და გარს შემოერტყა გერმანელებს ტიბრის აღმოსავლეთ ნაპირზე. გერმანელთა განადგურებული მე-14 არმიის ჯარები მხოლოდ სუსტ საარიერგარდო წინააღმდეგობას ეწევიან.

გუშინ დღისით ბრძოლების ზონაში შემჩნეული არ ყოფილა მოწინააღმდეგის არც ერთი თვითმფრინავი.

რეიტერის საგენტო იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ფრონტი ამჟამად გაშიშულია 70 მილზე და შეეერთდა ამერიკის მე-5 არმიის ფრონტს რომის სექტორში.

ფრონტის აღრიატიკის სანაპიროს უბანზე სიწყნარეა.

ამხანაგ სტალინის პასუხი საქართველოს კოლმეურნეებს*

მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა თომას-ძე შარაშენიძემ მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელი მოაწერა 55.000 მანეთის რაოდენობით და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

მახარაძე

სოფელ დვაბზუს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა თომას-ძე შარაშენიძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, შალვა თომას-ძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასილ ბესარიონის-ძე ჯაბუამ ხელი მოაწერა 40.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

მახარაძე

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვასილ ბესარიონის-ძე ჯაბუას

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ვასილ ბესარიონის-ძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

მახარაძის რაიონის სოფელ მთისძირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოო ანდრიას-ძე მგრელაძემ ხელი მოაწერა 62.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

მახარაძე

მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხანაგ მეგრელაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო მეგრელაძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ ხარლამპის-ძე პატარაიამ ხელი მოაწერა 50.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

ლანჩხუთი

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ პატარაიას

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო პატარაიავ, წითელი არმიის საჰაერო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

თელავის რაიონის სოფელ ზემო-ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თედო ალექსის-ძე ბუგრიძემ ხელი მოაწერა 150.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

თელავი

სოფელ ზემო-ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თედო ალექსის-ძე ბუგრიძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, თედო ალექსის-ძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

კასპის რაიონის სოფელ ზოვლეს კოლმეურნეობა „წითელი კომუნარის“ თავმჯდომარემ გიორგი ალექსის-ძე ჯანანაშვილმა ხელი მოაწერა 32.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

კასპი

სოფელ ზოვლეს კოლმეურნეობა „წითელი კომუნარის“ თავმჯდომარეს გიორგი ალექსის-ძე ჯანანაშვილს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, გიორგი ალექსის-ძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

კასპის რაიონის სოფელ გუდალეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარემ გიორგი ლუკას-ძე მოდრეკილაძემ ხელი მოაწერა 50.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

კასპი

სოფელ გუდალეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარეს გიორგი ლუკას-ძე მოდრეკილაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, გიორგი ლუკას-ძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე თევდორეს-ძე მელაძემ ხელი მოაწერა 30.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

მცხეთა

სოფელ ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ალექსანდრე მელაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო მელაძევ, სსრ კავშირის თავდაცვაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დავით თევდორეს-ძე მელაძემ ხელი მოაწერა 40.000 მანეთზე და ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

მცხეთა

ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხანაგ მელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი დავითის-ძე შენგელია

ოდესა, ხერსონი, ოჩაკოვი! ამ ქალაქების განთავისუფლებისათვის წითელი არმიის სხვა ქვეგანაყოფებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ მაიორ გიორგი დავითის-ძე შენგელიას მებრძოლები.

ოდესისათვის ბრძოლებში მაიორმა გიორგი შენგელიამ მამაცობა გამოიჩინა. ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი, უკრაინის საოლქო ქალაქი და პირველხარისხოვანი ნავსადგური შავ ზღვაზე ქალაქი ოდესა გერმანელ ფაშისტებს ძლიერ სიმაგრედ ჰქონდათ გადაქცეული. მათ გააკეთეს თხრილები და სანგრები. მოაწყეს მავთულხლართები, დანაღმეს ველები. მაგრამ ჰიტლერელებს ვერაფერმა უშველა. ჩვენი სახელოვანი მეომრების დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერაგი მტერი განადგურებულ იქნა. ჩვენმა ნაწილებმა სამი დღის განმავლობაში ათასობით ჰიტლერელი გაჟლიტეს და მრავალი ტყვედ წამოიყვანეს.

ამ ბრძოლებში გამოჩენილი გულადობისა და მამაცობისათვის მაიორმა გიორგი დავითის-ძე შენგელიამ დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მადლობა.

მაიორმა გიორგი შენგელიამ ასევე გამოიჩინა თავი ხერსონისა და ოჩაკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მან კიდევ ორჯერ შეიღო დიდი ბელადის მიერ გამოცხადებული მადლობა.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი გიორგი დავითის-ძე შენგელია ყოველთვის პირადი მაგალითით აღფრთოვანებს მებრძოლებს და გაბედულად მიჰყავს ისინი ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მაიორ გიორგი შენგელიას თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა სამშობლოსათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

მაიორი გიორგი დავითის-ძე შენგელია 1941 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. ჯარში გაწვევამდე იგი მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად. იყო პარტიის თბილისის რაიკომის მეორე მდივანი.

გიორგი დავითის-ძე შენგელია 36 წლისაა. დაიბადა 1908 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. მან აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

ვერაგ მტერთან ბრძოლაში მაიორი შენგელია სამჯერ დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე კვლავ ფრონტზე ბრუნდებოდა და გმირულად სპობდა ჰიტლერელ არამზადებს.

მ. საკაკული

ჯიხაშკარი

ზუგდიდიდან ცამეტი კილომეტრის გავლა დაგჭირდებათ, სოფელი ჯიხაშკარი რომ ნახოთ.

„ჯიხაშკარი“ მეგრული სიტყვაა და ქართულად ციხის კარს ნიშნავს. ამ სოფელს ტყუილად როდი დარქმევია ეს სახელი! ჯიხაშკარი თითქოს მის წინ ზვიადად ამართული ძველი ციხე-ბჟის გასაღებია.

შომხიბლველია მდებარეობა მისი. აღმოსავლეთით მდინარე ჭენისწყალი შესდგუდენებს ნიადაგ; ჩრდილოეთით რომ გაიხედოთ—ბეჩად წოდებულ გულფართო ველს იხილავთ; სამხრეთ მხარეზე კი—გაშლილია „ჯეგეს ეწერი“.

სოფლის გადასახედიდან მოსჩანან: სქუთრის მთა, წალენჯიხის სახელგანთქმული ტაძარი, სათანჯოსა და ობუჯის ნაკოშკარები, სოფელი კირცხი, „ჩეგვალა“ ანუ თეთრი მთა...

მზერას გტაცებენ სოფლის შუაგულ შტიბებაზიდული დიდრონი ხეები — ჭადარი და მუხა. აქაურმა ბერიკაცებმა გვიამბეს: საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაურგავთო ეს ხეები ძველ ოდიშელებს.

აი, ამ სოფელს ეკუთვნის კოლმეურნეობა, რომელიც ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელს ატარებს. მას უკავია სამას ჰექტარზე მეტი მიწა, სადაც მოჰყავთ სიმინდი და გაშენებული აქვთ ჩაი, ვაზი, ტუნგო, მანდარინი.

ორასთოთხმეტი კომლი ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით შრომობს და ცხოვრობს: თავიანთი წვლილი შეჰმატონ ჩვენი გაბარჯვების საქმეს. ჯიხაშკარელნი გულდადებით შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, საქმით იბრძვიან მახარაძელ კოლმეურნეთა მოწოდების „პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მათი მკლავკვაჭრიანობა განსაკუთრებით წელს გამოჩნდა.

— მეცხოველეობის განვითარების გეგმა შეესრულეთ, საგაზაფხულო თესვა დროზე და კარგი ხარისხით ჩავატარეთ, ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალებაც გადამეტებით შეესრულეთო.—გვიამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სამამული ომის მონაწილე ამხ. შოთა ხუბულავა, იგი არც ისე დიდიხანია, რაც სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობას, მაგრამ უმაღლესი განათლების მქონე მონდომებული ახალგაზრდა სამაგალითოდ გაუძღვა კოლმეურნეობის საქმიანობას.

კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობაში მეორე, ანუ როგორც აქ ეძახიან, დ. მეთიას ბრიგადას ბადალი არა ჰყავს. მან ყველაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა სიმინდის თესვა, ხოლო მაისში გეგმის გადამეტებით ტონა ნახევარი ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა ქვეყანას. ბრიგადის წარმატება შედეგია. მისი წევრებისა—ლ. ხარჩილავისა, ი. ხუბულავას, მ. ხარჩილავას და სხვათა გულმოდგინე გარჯილობისა.

მეორე ბრიგადას მაღალი მაჩვენებლებით მიჰყავება პირველი ბრიგადა, რომელსაც ს. ალანია მეთაურობს. ბ. გაბეჩავა, ხ. გაბეჩავა, ბ. სიჯინავა, გ. გაბეჩავა—ისეთივე თავდადებით იბრძვიან უხვი ჭირნახულისათვის, როგორც ჩვენი ლომგული მეომრები—მოსისხლე მტრის საბოლოო განადგურებისათვის.

კოლმეურნეობაში დიდია რიცხვი ასეთი ხელგამოჭიდ და შრომისმოყვარე ადამიანებისა, მაგრამ მათს შორის მაინც გამოსარჩევი არიან: ბ. შელია, წითელფრონტელის მამა ს. ბენდელიანი, თ. შელია, ო. სიჯინავა, ა. შელია, ც. ხუბულავა.

შევიხედოთ კოლმეურნეობის მიცხოველეობის ფერმებში! მათგან ყველაზე უკეთ აქვს საქმე მეძროხეობის ფერმას, აქ პროდუქტიულობაც გაზარდეს და ნამატიც მთლიანად შეინარჩუნეს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ფერმის გამგედ მუშაობს განთქმული მეჯოგე ძია კვარაცხელია მოწოფე—ვალი ხუნტუა. მისგან შეუსწავლია ვადის პირუტყვის მოვლის, ილეთები. ახლა ესაც ჰყავს თავისი „მოწოფეები“—შ. გეთია, კ. ფირცხელავა და გ. თოლორაია.

მთელი სოფლის ზრუნვით და სიყვარულით არის გარემოსილი ფრონტზე მყოფ ჭაბუკ-ოჯახები. როგორ გაეხარდება წითელარმიელ ა. აფაქიძეს, როცა ბრძოლის ველიდან დაბრუნებული თავის ახალ სახლს ნახავს! სოფელმა აუშენა სახლები აგრეთვე წითელარმიელის დედას — შ. როგავას და ფრონტელთა ცოლებს — შ. გობეჩიას და ქ. ხუბულავას.

„საკოლმეურნეო შრომაში ძმადშეკრული ჯიხაშკარელნი თავიანთი გარჯით, ოფლისღვრით და ღვაწლით კიდევ უფრო ახლოებენ იმ დღესა და საათს, როცა ჩვენი ნაომარი ვაჟკაცები გამარჯვებით და ოქროსფერი ლაშქრულის გუგუნით დაბრუნდებიან შინ.

ხუტა ბერულავა

ჯერი ჰაგარა ლილოდან

ჯეჯილმა თავთავი გაიკეთა. ვენახში მტევანი მსხვილდება. თბილისის რაიონის სოფელ პატარა ლილოს ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ფუხაშვილი) წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. ლილოელი კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. კარგად მოვლილია 10 ჰექტარი ვენახი, 5 ჰექტარი ბოსტანი. გათოხნილია 20 ჰექტარზე მეტი მზესუმზირა. კოლმეურნეობამ ვთლიანად შეინარჩუნა ცხვრის ნამატი. სამუშაოთა შესრულებაში თავი ისახელეს ი. ბერიძის და ვ. ხმალაძის ბრიგადებმა, აგრეთვე კოლმეურნეებმა ს. ყარყარაშვილმა, დ. ბერიძემ, ლ. მონჯიშვილმა, გ. აფხაზაშვილმა, ა. შავერდაშვილმა.

კოლმეურნეები ა. არჯევანიძე, მ. აფხაზაშვილი, ც. ყარყარაშვილი, ე. ბიბილური დღიურ ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ.

კოლმეურნეობა გაცხოველებით ემზადება უხვი სამხედრო მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. მთელი ინვენტარი მომზადებულია. მოწყობილია სამი კალო. კოლმეურნეობაში მიმდინარეობს თიბვა (ყოველდღიურად მუშაობს 4 სათიბი მანქანა). პურეულის მოსავლის აღება ამ დღეებში დაიწყება.

ი. ნუცუბიძე

დეპეშები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შტაბი თავის № 3 კომუნიკეში იუწყება:

„მოკავშირეთა ჯარები მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში განაგრძობდნენ დესანტების გადასხმას საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე. მიღწეულია დამაკმაყოფილებელი წარმატებანი. „კომანდოსის“ რაზმები შეადგენდნენ მოიერიშე ძალების ნაწილს. მტრის სამხედრო-საზღვაო ძალებს არავითარი ახალი ცდა არ გამოუჩენიათ ხელი შეეშალათ ჩვენი დესანტების გადასხმისათვის ზღვიდან. იმ სანაპირო ბატარიებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოქმედებენ, მოკავშირეთა სამხედრო ხომალდები უშენენ.

გუშინ დაბინდებისთანავე ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დღის განმავლობაში მეოთხედ მიიტანეს იერიში რკინიგზის კომუნიკაციებსა და ხიდებზე. ჰაერში მტრის წინააღმდეგობა გაძლიერდა. ჩამოგდებულია ვტრის 2რ თვითმფრინავი, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებისათვის.

ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ერთი ბომბდამშენი და 17 ავიადამანადგურებელი.

მტრის ავიაციამ იერიში მოიტანა ჩვენს გადაშსდარ ძალებზე. ამ იერიშს წარმატება არ მოჰყოლია. „იუნკერს-88“ მარკის 12 თვითმფრინავისაგან შემდგარი შენაერთიდან გერმანელებმა 4 მანქანა დაჰკარგეს. გუშინდელი დღის განმავლობაში ჰოკავშირეთა ავიაციის საშუალო და მსუბუქი ბომბდამშენები არაერთგზის დაესხნენ თავს რკინიგზის კვანძებს, ხიდებს, სამხედრო ნაგებობებსა და გზებს აბანკურში, სერკშა, ამიენსა და ვირში“.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოკავშირეთა ავიაცია მცირე სიმაღლიდან ბომბავდა მტრის ნაწილებს და მოტორიზებული ტრანსპორტის კოლონებს.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია:

„წუხელ წარმატებით განახლდა ავიასადესანტო ოპერაციები.

სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გერმანიის ხომალდებზე ბისკაის ყურეში.

ღამის მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა ხიდებს, გზატკეცილებსა და რკინიგზებს ზურგში, შეჭრის სექტორის ფარგლებს გარეთ, მათ შორის შატოდენის რკინიგზის კვანძს.

ცამეტი მძიმე ბომბდამშენი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა. მსუბუქი ბომბდამშენები აგრეთვე მოქმედებდნენ იმავე ტიპის ობიექტების წინააღმდეგ და მოსპეს 8ტრის 12 თვითმფრინავი, თვითონ კი ზარალი არ მოსვლიათ“.

ოპერაციები ჩრდილოეთ საფრანგეთში

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ შუადღიდან დილის რვა საათამდე ჰაერში იყო მოკავშირეთა 31 ათასი მფრინავი, თუ ავიასადესანტო ჯარებს არ ვითვალისწინებთ. ამ ხნის განმავლობაში ოპერაციების რაიონში ჩამოყრილ იქნა 10 ათასი ტონა ბომბი.

მოკავშირეთა გემების ჯარებიან ქარავნებს სანაპირო დაცვის არტილერიის დაშენა არ განუცდიათ.

პარიზის რადიომ გუშინ საღამოს ცნობა გადასცა, რომ რუანის ჩრდილოეთით გაფანტრებული ბრძოლები სწარმოებს ჰოკავშირეთა საჰაერო-სადესანტო ჯარების დიდ შენაერთებსა და გერმანელთა ნაწილებს შორის.

გუშინ ინგლის-ამერიკის საჰაერო-სადესანტო ნაწილები გადასხდნენ ნორმანდიის კუნძულებზე გერნსისა და ჯერსიზე (ლა-მანშში).

რეიტერის საგენტოს სამხედრო კორეს-პონდენტი იუწყება, რომ განთიადისას, როცა საფრანგეთში შეჭრა დაიწყო, სანაპიროს სროლა აუტეხეს 600-ზე მეტი საშუალო ხომალდის ქვემეხებმა. ჰაერი ზანზარებდა ბომბების განუწყვეტელი აფეთქებისაგან. გადასხმამდე მარტო უკანასკნელი ათი წუთის განმავლობაში სანაპიროს ესროლეს 2 ათას ტონაზე მეტი ფუგასური ბომბი. შვიდ საათსა და 25 წუთზე მოიერიშე ჯგუფების პირველი ტალღის ჯარისკაცები სანაპიროს მოეფინენ.

ზღვაში ასობით უზარმაზარი ტრანსპორტი დგას. სადესანტო გემები სავსეა ჯარებით, ტანკებით, ზარბაზნებითა და ყველა ტიპის ჯავშნიანი ავტომობილებით.

სანაპირო ხაზზე შეჭრის გეგმები შემდეგს ცალკეულ ფაზებს შეიცავდნენ:

1. საჰაერო-სადესანტო და საპარაშუტო ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ზურგში.
2. ინგლისის ავიაციის მიერ გადასასხმელი პუნქტების ფართოდ დაბომბვა ღამით.
3. მოკავშირეთა 600-ზე მეტი სახაზო ხომალდის, კრეისერის, მონიტორისა და საესკადრო ნაღმოსნისაგან შემდგარი სამხედრო ფლოტის მიერ სანაპიროსათვის არტილერიის დაშენა.
4. მტრის პოზიციების საბოლოო დაბომბვა იერიკის ავიაციის მთელი ძალებით ჯათიერ-ბისთანავე და თავდასხმის გადასხმების წინ.

ბაღოდიოს ახალი მთავრობის შედგენა

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ იტალიის მეფის მოადგილეს პრინცმა უმბერტომ 6 ივნისს მიიღო ბადოლიოს მთავრობის გადადგომა და დაუყოვნებლივ მიანდო მარშალ ბადოლიოს შეადგინოს ახალი მთავრობა იმ პოლიტიკური ლიდერებს მონაწილეობით, რომლებიც ამჟამად განთავისუფლებულ რომში იმყოფებიან. ახლანდელი კაბინეტი დარჩება მიმდინარე საქმეების გასაძღოლად მანამდე, სანამ ახალი მთავრობა ჩამოყალიბდებოდეს.

იტალიის მთავრობის რომს გადასვლა გათვალისწინებული არ არის. ჯერჯერობით იგი წინანდებურადვე სალერნოში იქნება.

შეიარაღებული შეგაკება ლიგველთა სამხედრო ნაწილებსა და გერმანელთა „სს“ ჯარებს შორის

სტოკჰოლმი, 6 ივნისი (საკდესი). შვედურ გაზეთებში გამოქვეყნებული შემდეგი ცნობა შვეციის დეპეშათა საგენტოსი, რომელიც ბერნს იმოშუმებს:

„ლიტვის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ვილნოს უმაღლესი კომიტეტის ცნობით, 1944 წლის თებერვალში ჩამოყალიბებული ლიტველთა ადგილობრივი სამხედრო ნაწილების საროდალი გენერალი პოვილას პლეხავიჩუსი და მისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ტრობნასი 14 მაისს მიწვეულ იქნენ კაუნასში ლიტვის პოლიციის გერმანელ კომისართან „სს“ ჯარების გენერალ პინცესთან.

ორივე ოფიცერი დაუყოვნებლივ დაპატიმრეს და გერმანიაში გაგზავნეს, ამავე დროს გერმანელები გარს შემოერტყნენ ლიტველთა ადგილობრივი სამხედრო ნაწილების შტაბის შენობას კაუნასში იმ განზრახვით, რომ დაეპატიმრებინათ იქ მყოფი ოფიცრები. ოფიცრებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სროლის დროს მოკლულ იქნა რამდენიმე ოფიცერი. დანარჩენები გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს. 14 მაისს ღამით „სს“ ჯარები შეეცადნენ განეიარაღებინათ მარიამპოლში ლიტველთა სასწავლო ბატალიონი, რომელიც 1.800 კაცისაგან შესდგებოდა, და კადეტთა სკოლა, რომელშიც 1.200 კურსანტი იმყოფებოდა. ბრძოლები მანამდე გრძელდებოდა, სანამ ლიტველებმა მთელი საომარი მასალა არ დახარჯეს. ორივე მხარეს მძიმე ზარალი მოუვიდა. კაპიტულაციის წინ ბევრმა ლიტველმა ოფიცერმა თავი მოიკლა. ლიტველთა შვიდი ბატალიონი ვილნის რაიონში განიარაღებულ იქნა. ლიტველთა იმ 14 ბატალიონის ნაშთები, რომლებიც იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ ლიტვაში პონევეჟისის მახლობლად, დროზე იქნენ გაფრთხილებულნი, „ეე რომ მთხერეხეს ტყეებში გაქცევა და თან წაიღეს მთელი იარაღი და საომარი მასალა. ამ ამბებთან ერთად გესტაპომ ბევრი ლიტველი ინტელიგენტი დაუპატიმრა.

კონფლიქტს შემდეგი წინაისტორია აქვს: გერმანელთა ნებართვით გენერალმა პლეხავიჩუსმა თებერვალში შეადგინა ლიტველთა 14 ბატალიონი ლიტვაში წესრიგის დასაცავად და აღმოსავლეთ ლიტვაში მოქმედ საბჭოთა პარტიზანებთან საბრძოლველად. ამ ნაწილების ჩამოყალიბებას ლიტველები სთვლიდნენ ლიტვის რეგულარული არმიის აღდგენის დასაწყისად, არმიისა, რომელიც განკუთვნილი იყო ლიტვის დამოუკიდებლობის აღსადგენად და იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რაც ლიტვას ემუქრება. ამასთან ლიტველებმა პირობად წამოაყენეს, რომ გერმანელებს უფლება არა ჰქონოდათ ეს ჯარები სხვა ადგილებში გამოეყენებინათ. 13 ბატალიონიდან თვითეულში 750 კაცი იყო. მე-14 სასწავლო ბატალიონი 1.800 კაცისაგან შესდგებოდა. გერმანელები აგრეთვე დაჰპირდნენ, რომ ისინი უარს იტყოდნენ ლიტველთა მობილიზაციაზე გერმანიის ჯარებისათვის. მოუხედავად ამისა, გერმანელებმა 28 აპრილს გაიწვიეს 1915-1924 წლებში დაბადებული კონტინგენტები და ყველა ოფიცერი. გერმანელთა მობილიზაციამ სრული მარცხი განიცადა. ამის შემდეგ გერმანელთა სამხედრო ადმინისტრაცია შეეცადა აიძულებინა ლიტველთა ბატალიონები შესულიყვნენ გერმანელთა „სს“ ჯარების შემადგენლობაში. გენერალმა პლეხავიჩუსმა ამაზე უარი სთქვა. გერმანელებმა 13 მაისს აცნობეს მას, რომ ლიტველთა ბატალიონები „სს“ შემადგენლობაში არიან შეყვანილნი.

იმავე დღეს პლეხავიჩუსმა ინახულა ლიტვის გენერალური კომისარი ფონ რენტელნი და აცნობა, ჩემს ჯარებს დავშლი, თუ გერმანელები თავის მოთხოვნას დაიკონკრეტებენ. როდესაც პლეხავიჩუსი ჰინცესთან წავიდა იგი ფიქრობდა, ახალი მოლაპარაკებისათვის გამიწვიესო“.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 5 ივნისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის შესრულება პირველსა ათ დღეში ჩათვლით ცენტრობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის შესრულება მაისის დასასრულის ჩათვლით ცენტრობით
ბათუმი	21,8	5,7	ქუთაისი	27,0	—
ქობულეთი	16,9	12,2	წყალტუბო	29,7	—
გალი	22,7	6,6	ტყიბული	27,5	9,0
ოჩამჩირე	19,0	13,0	ცხაკაია	26,6	5,1
გულრიპში	38,6	35,7	აბაშა	23,7	—
სოხუმი	56,0	180,0	გეგეჭკორი	22,6	1,8
გუდაუთი	27,2	5,6	ზუგდიდი	22,3	12,0
მახარაძე	17,8	8,0	წალენჯიხა	29,4	13,6
ჩოხატაური	23,5	7,1	ჩხოროწყუ	26,3	2,9
ლანჩხუთი	17,1	8,5	ხობი	26,3	3,1
სამტრედია	28,1	6,1	ჩხარი	30,7	—
წულუკიძე	19,7	1,9	ზესტაფონი	9,0	—

ორთაბათუმის (ბათუმის რაიონი), მამათის (ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონები), დიდი ჭყონის მეორე (გეგეჭკორის რაიონი) ჩაის ფაბრიკების, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების ცნობები 1 ივნისისაა.



გორის რაიონი, სოფელ ქვემო-ნიქოზის კოლმეურნეობა დაიწყო საანეულო ხვნა. „განთიადის“ მინდვრებზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

დამთავრდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ზარის სახელობის ენის ინსტიტუტისა და ტბილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი პროფესორ ი. ყიფშიძის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესია გაიხსნა საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ კ. დონდუას მოკლე შესავალი სიტყვით. სესიამ მოისმინა ვ. თოფურიას მოხსენება: „იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა“. მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა და დაახასიათა ი. ყიფშიძის სამეცნიერო მუშაობა და ის როლი, რომელიც შეასრულა მან ქართველური ენათმეცნიერების განვითარებაში. ა. ჩიქობავამ თავის მოხსენებაში „გარდუვალ ზმნათა ერთი სუფიქსისათვის ძველ ქართულსა და ზანურში“ ძველი ქართულის ზოგიერთი დღემდე უცნობი მასალის ანალიზითა და მისი ზანურთან შედარებით განიხილა ერთი ძველი სუფიქსის შედგენილობა და უჩვენა ამ სუფიქსის ადრინდელი ფუნქცია. ვ. ფანჩვიძის მოხსენება „ზანურის (მეგრულ-ჭანურის) შესწავლის თანამედროვე ვითარება“ მიმოხილვითი ხასიათისა იყო. ამომწურავად იყო აღნუსხული ის დიდი მუშაობა, რომელიც ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ჩატარეს ქართველმა ენათმეცნიერებმა ზანურის შესწავლის საქმეში. პირველი სხდომის დასასრულს სესიამ მოისმინა კ. კეკელიძის მოგონება იოსებ ყიფშიძის საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობაზე. კ. კეკელიძემ დაწვრილებით ილაპარაკა ი. ყიფშიძის ღვაწლზე ძველი ტექსტების გამოცემის, განმარტებითი ლექსიკონის შედგენის სამზადისისა და თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

სესიამ მეორე სხდომაზე მოისმინა ხუთი სამეცნიერო მოხსენება. გ. ახვლედიანის სენება „აფესტის“ „თრაეტაონა“ და ქართველ ზღაპრის „თრითინო“ ერთი ქართული ზღაპრის პერსონაჟთა სახელწოდების ლინგვისტური ანალიზს შეიცავდა. მომხსენებელ ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ცდა ჰქონ ამ ზღაპრის დიდი სიძველე, კერძოდ მისი ავესტისგან მომდინარეობა. თავადვე დიდი ლიტერატურული ღირებულებანი აქვს ავესტის ერთ-ერთი ჰიმნის ქართულ თარგმანს, რომელიც შეასრულა თვით მომხსენებელმა. ეს საინტერესო ცდაა ავესტა ქართულ ენაზე თარგმნისა. ი. ასათიანის მოხსენებაში „თანხმოვანფუძეიან სახელებრუნებისათვის მეგრულში“ წარმოდგენილი იყო დაზუსტება და ახსნა მეგრულ სახელებრუნების ერთი მოვლენისა, რომელიც ივის დროზე შენიშნული ჰქონდა ი. ყიფშიძეს. გ. როგავას მოხსენებაში „დრო-კილთა მესამე სერიის ორი რიგი მეგრულად განხილული იყო მეგრული ზმნის III რიგის ფორმები. ქ. ლომთათიძის მოხსენებაში „ზოგი აფხაზური სიტყვისა და ნაწილეტიმოლოგიისათვის“ ცდა იყო აფხაზური ენის ნიადაგზე ზოგიერთი ზანური სიტყვის ახსნისა, რომელიც ქართველურ ენათა დაგზე ვერ იხსნებოდა. შ. ძიძიგურის სენება „მასდარული კონსტრუქციისა ქვეწყობილი წინადადების ურთიერთობისა ძველ ქართულში“ გაუძღებული „მასდარული კონსტრუქციის“ დამოკიდებულება ქვეწყობილ წინადადებასთან და ადგილი ქართული რთული წინადადების განვითარებაში საერთოდ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. შანიძემ, კ. კეკელიძემ, ა. ჩიქობავამ, გ. წერეთელმა, ა. ბარამიძემ, ვ. თოფურიამ და სხვ.

სესიის, მუშაობა შეაჯამა ვ. თოფურიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის პირველი დამოუკიდებელი სამეცნიერო სესია იყო.

სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთერთმეტე ტური

6 ივნისს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა სსრ კავშირის საჭადრაკო პირველობის მეთერთმეტე ტური, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი საბრძოლო ტური იყო. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ბრძოლა გროსმაისტერ ბოტვინიკსა და აზერბაიჯანის ჩემპიონ ზაკოგორნუს შორის, რავინსკისა გროსმაისტერ სმისლოვთან, ბრონშტეინისა გროსმაისტერ ფლორთან და გროსმაისტერ ლილიენტალისა ბოლესლავსკისთან.

ბოტვინიკმა და მაკოგორნოვმა დიდ ტურნირებში გამოსვლა დაიწყეს 1927 წლიდან. აზერბაიჯანის ჩემპიონმა, რომელიც დამსახურებულად ითვლება „კირკიტ კაკლად“ გროსმაისტერებისათვის, ამჯერადაც გაამართლა ეს მოსწრებული დახასიათება. მათ გაიმარჯვეს ოთხი მხედრის დებიუტი. პარტია შეუფოვარი ბრძოლით მიმდინარეობდა და გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.

ახალგაზრდა ვასტრომ ბრონშტეინმა ველად კარგი პოზიცია მიიღო გროსმაისტერ ფლორის წინააღმდეგ. შემდეგ დაიბრძოლა უკვე უარეს მდგომარეობაში ვიდა გაუძლო გამარჯვება ფლორს ჩაეთვალა.

გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელიც ებით თამაშობდა რავინსკის წინააღმდეგ კარგად ჩაატარა პარტია და კვლავ ცდა თავისი დიდი ოსტატობა.

პარტია გადაიდო. სმისლოვს ზედმეტი კი ჰყავს და მოგების დიდი შანსი აქვს.

ბოლესლავსკიმ დებიუტშივე აჯობა მაისტერ ლილიენტალს და გამარჯვება მიიღწია.

მეთერთმეტე ტურის დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 ივნისს შესდგება ჩემპიონატის ერთ ტური, რომელშიც ყველაზე უფრო საინტერესოა სმისლოვ-ბრონშტეინისა და ბოტვინიკის შეხვედრა. (საკდესი).

ფაიფურის ნაწარმი

მახარაძე („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). მახარაძის ფაიფურის ქარხანამ (დირექტორი ამხ. ბერაძე) მაისის საწარმოო გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია ფარ-თო მოხმარების ფაიფურის ნაწარმი: ფინჯანი, ჯიქა, თეფში და სხვა საგნები.

მაისში სტახანოვური შრომით თავი ისახელეს მ. ქილიფთარამ, მ. ხომერიკმა, ნ. ბოლქვაძემ, ქ. გორგოშიძემ, ს. ხომერიკმა და სხვებმა, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს.

ლ. ლოლაძე

„ბაგრატიონი“ აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში

სოხუმი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ზეთის რუსულმა სახელმწიფო თეატრმა სადგმელად მიიღო დრამატურგ ვ. სა[illegible] პიესა „ბაგრატიონი“.

ქრაველის პალეო ლაგარიის ბილეთ[illegible]

5 ივნისს გორის რაიონულ შემნახველ[illegible] ლარაში სოფელ ოხერას ბერიას სახ[illegible] კოლმეურნეობის წევრმა ივანე ალ[illegible] დავითაშვილმა წარადგინა ფულისა [illegible] თების მესამე ლატარიის ბილეთი № [illegible] სერია—109158, რომლითაც მას მ[illegible] ხვდა კრაველის პალტო.

იმავე კოლმეურნეობის წევრმა ელ[illegible] ინდუაშვილმა ლატარიის ბილეთით [illegible] 5.000 მანეთი.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძ[illegible]

ლექცია

9 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აქცხოველის სახელობის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ამხ. ლარცულიანი წაიკითხავს ლექციას „ქართულ ენაზე. თემა: **„მნიშვნელობა ლენინის წიგნისა—„რა ვაკეთოთ?“**

ა. წ. 15 ივნისიდან თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება ატარებს საექსტერნო წესით გამოცდებს შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის მ[illegible] საღებად.

განცხადებების მიღება სწარმოებს საქალაქო განათლების განყოფილებაში ა. წ. 1[illegible] ივნისამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ცნობა განათლების შესახებ[illegible] მეტრიკული მოწმობა და 2 ფოტოსურათი.

მისამართი: ბერიას სახელობის მოედანი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბ[illegible]ჭოს აღმასკომის შენობა, მე-3 სართული, ოთახი № 90.

თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება.

მშობლები ოლგა, სერგო, დეიდა ნინო, მამიდა ელენე შვილებთან იუწყებიან, რომ 11/VI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვანიკო (ბეძო) ბედიანიძის** პანაშვიდი.

მეუღლე ქეთო, დედა მატრონა, ძმები ხუხა, შალვა, და ქსენია იუწყებიან, რომ 11/VI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ანდრო სოლომონის-ძე თოფურიას** პანაშვიდი.

ეკეთა მე-12 საშუალო სკოლის პედ[illegible] ლექტივი იუწყება თამარ ძნელაძის დ[illegible] **ფოცო ულუნტი-ძნელაძის** გარდაცვალებ